მეც აქ ვარ, მე მივეკუთვნები

ბავშვებში მოქალაქეობის არქონის პრობლემის დაუყოვნებლივ აღმოფხვრის აუცილებლობის შესახებ

#მე მივეკუთვნები

UNHCR
The UN Refugee Agency

“ იმ მოკლე პერიოდის განმავლობაში,
უმძიმესი დაღი დაასვას ბავშვს, რომელ
სასოწარკვეთილების სახით. თუ ჩვენ გვს
იქცეს, ეს თაობა ჩვენი აწმყოს მნიშვნელო
არცერთი ბ
ამ მიეკუთვნები კამპანიის ფოტოები შემუშავებულია United Colours of Benetton-ის თანამშრომლებით

ი, რომელსაც ბავშვობა ჰქვია, მოქალაქეობის არქონამ შეიძლება ისეთი
ლიც მას მთელი ცხოვრება გაჰყვება დისკრიმინაციის, უიმედობისა და
ვსურს, რომ მომავალი თაობის ბედთან დაკავშირებული იმედი რეალობად
ოვან ნაწილს უნდა წარმოადგენდეს.

**ბავშვი არ უნდა დარჩეს მოქალაქეობის გარეშე,
ყველას უნდა ჰქონდეს კუთვნილების განცდა.”**



ანტონიო გუტერეში,
გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი.

მოქალაქეობის არმქონე ბავშვები

ისეთ სამყაროში იზრდებიან, რომელშიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში დისკრიმინაცია ემუქრებათ; ეს სტატუსი უდიდეს გავლენას ახდენს მათი სწავლისა და ზრდის შესაძლებლობებზე, იმედის ხორცშესხმასა და ოცნების ასრულებაზე.

დღესდღეობით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ყოველ 10 წუთში მოქალაქეობის გარეშე ერთი ბავშვი იბადება და ამ პრობლემას ზრდის ტენდენცია აქვს. იმ 20 ქვეყანაში, რომლებიც მოქალაქეობის არმქონე ადამიანების რაოდენობით ლიდერობენ, ყოველწლიურად 70 000 ასეთი ბავშვი იბადება.

მოქალაქეობის გარეშე დაბადებას უმძიმესი შედეგი მოაქვს. 30-ზე მეტ ქვეყანაში ბავშვებს სამედიცინო მომსახურების მისაღებად ოფიციალური დოკუმენტაცია სჭირდებათ. სულ მცირე, 20 ქვეყანაში კი მოქალაქეობის არმქონე ბავშვების ვაქცინაცია კანონიერად შეუძლებელია.

ეს მოხსენება ამ სტატისტიკის ფარგლებს სცდება. ის გვთავაზობს ბავშვებისა და ახალგაზრდების უშუალო მონათხრობს, თუ რა გავლენას ახდენს მათ ცხოვრებაზე მოქალაქეობის არქონა.

2015 წლის ივლისსა და აგვისტოში UNHCR-ის წარმომადგენლები გაესაუბრნენ მსოფლიოს შვიდ ქვეყანაში 250-ზე მეტ ბავშვსა და ახალგაზრდას [1], ასევე მათ მშობლებსა და მეურვეებს იმ გამოცდილებაზე, რომელიც მათ ბავშვობისას მოქალაქეობის არქონის გამო მიიღეს.

ეს არის მოქალაქეობის არმქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების მოსაზრებების პირველი, გეოგრაფიულად დივერსიფიცირებული კვლევა. ბევრ მათგანს მანამდე არავისთან უსაუბრია იმაზე, თუ რას ნიშნავს, არ გქონდეს მოქალაქეობა.

ამ მოხსენებაში ნათლად ჩანს, რომ, როცა ადამიანს არცერთი ქვეყანა თავის მოქალაქედ არ აღიარებს, ეს მას დაუძლეველ ბარიერებს უქმნის განათლებისა და სამედიცინო მომსახურების მიღებაში და სამუშაო პერსპექტივებსაც უზღუდავს. ასევე გამოკვეთილია მოქალაქეობის არქონის დამანგრეველი შედეგი ადამიანის ფსიქოლოგიურ მდგრადობაზე და ის სერიოზული ნეგატიური გავლენა, რასაც განიცდიან არა მარტო ახალგაზრდები, არამედ მათი ოჯახები, ზოგადად თემი და სახელმწიფო. მოხსენებაში მკაფიოდაა წარმოჩენილი ბავშვებისთვის მოქალაქეობის არქონის პრობლემის დაუყოვნებლივ გადაჭრისა და პრევენციის აუცილებლობა.

1 იგულისხმება 24 წლამდე ასაკის ახალგაზრდები

განათლება

„სწავლა–განათლება თითოეული ბავშვის უფლებად უნდა იქცეს. ეს უმნიშვნელოვანესი საკითხია.“

– 16 წლის ბუნი ტაილანდიდან

მოქალაქეობის არმქონე ბავშვებსა და ახალგაზრდებთან კონსულტაციების შემდეგ UNHCR–მა დაადგინა, რომ განათლების მიღების პროცესში ისინი უამრავი დაბრკოლების წინაშე დგანან. ზოგიერთ შემთხვევაში სკოლები ასეთ ბავშვებს საკლასო ოთახებშიც კი არ უშვებენ ან, როგორც უცხოელებს, გადამეტებულად მაღალ გადასახადს სთხოვენ, რის გამოც მათ არ ეძლევათ განათლების მიღების შესაძლებლობა; სხვაგან ასეთ ბავშვებს გამოსაშვებ გამოცდაზე არ უშვებენ ან ატესტატებისა და შესაბამისი სერტიფიკატების გაცემაზე უარს ეუბნებიან, რაც მათ უმაღლესი განათლების მიღებისა და უკეთესი სამსახურის პოვნის პერსპექტივას უსპობს. ასეთ ბავშვებს ხშირად ავტომატურად ეუბნებიან უარს სტიპენდიებსა და სტუდენტურ სესხებზე. როგორიც არ უნდა იყოს შეზღუდვა, შედეგი ერთია – კიდევ ერთი ახალგაზრდა ვერ ახერხებს საკუთარი პოტენციალის რეალიზებას.

ჯანმრთელობა

„ასე რატომ უნდა დავიტანჯო?!“

– 15 წლის პრატაპი მალაიზიიდან

მოქალაქეობის არმქონე ბევრ ახალგაზრდას და მათ მშობლებს აიძულებდნენ, უარი ეთქვათ კვალიფიციურ მკურნალობაზე მძიმე ავადმყოფობის ან ტრავმის შემთხვევაშიც კი. გადაადგილების შეზღუდვა, სამედიცინო დახმარებაზე დაწესებული უკიდურესად მაღალი ფასი, როგორსაც უცხოელებისგან ითხოვენ, დისკრიმინაცია და განათლების დეფიციტი ხშირად აფერხებს ჯანდაცვის ხელმისაწვდომობას იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებსაც ესაუბრა UNHCR–ი. არის შემთხვევები, როდესაც შესაბამისი დოკუმენტების უქონლობის გამო მოქალაქეობის არმქონე დედებს მშობიარობა უწევთ შინ და არა საავადმყოფოში, რაც, თავის მხრივ, დაბადების რეგისტრაციის პროცესს ართულებს. მათაც კი, ვინც ზრდასრულ ასაკში მოქალაქეობის მოპოვება შეძლო, ბავშვობისას სტატუსის არქონის გამო მთელი ცხოვრება ფსიქოლოგიური საფასურის გადახდა უწევთ.

იყო ბავშვი

„ამ ზაფხულს მე ბეისბოლს არ ვთამაშობ“

– 13 წლის ჯო დომინიკის რესპუბლიკიდან

განათლების და ჯანდაცვის უფლებების შეზღუდვის გარდა, მოქალაქეობის არმქონე ბავშვები ხშირად თავს დაუცველად გრძნობენ, მათ ეზღუდებათ თამაშის თავისუფლების არეალი და გარე სამყაროს შეცნობის შესაძლებლობა – ანუ, ის, რასაც ჩვენ ბავშვურ რუტინას ვეძახით. ისინი გაუცხოებას გრძნობენ იმ ქვეყანაში, რომელსაც საკუთარ სამშობლოდ თვლიან და ადრეული ასაკიდან დისკრიმინაციას განიცდიან. ზოგიერთს დროზე ადრე უწევს ზრდასრული ადამიანის პასუხისმგებლობის თავის თავზე აღება, რადგან ნაადრევად იწყებენ მუშაობას, ცხოვრობენ არაკეთილმოსურნე გარემოში და უწევთ სახელმწიფოს მტრულ დამოკიდებულებასთან გამკლავება. ყველაზე უკიდურეს შემთხვევებში კი მოქალაქეობის არმქონე ბიჭები და გოგონები ექსპლუატაციისა და ძალადობის მსხვერპლიც ხდებიან.

დასაქმება

„სამყაროს კარები ჩემთვის ჩარაზულია“

– 19 წლის ჯირაირი საქართველოდან

გადაუჭრელი პრობლემის არსებობის გამო, ბევრ გამოკითხულ ახალგაზრდას მოქალაქეობის არქონამ მოზარდი ასაკიდან ზრდასრულობაში გადასვლისას ახალი, დაუძლეველი წინააღმდეგობები შეუქმნა. ისინი განსაკუთრებით გამოარჩევენ ერთ პრობლემას – ეს არის ისეთი სამუშაოს დეფიციტი, რომელიც მათ შესაძლებლობებს, ამბიციასა და პოტენციალს შეეფერება. ეს პრობლემა ძირითადად განპირობებულია განათლებისა და თავისუფალი გადაადგილების უფლებების შეზღუდვით, რაც ბევრ ახალგაზრდას სიღატაკისა და მარგინალიზაციის მანკიერი წრის გარღვევის შანსს უსპობს – ანუ, მათ არ ეძლევათ საშუალება აღმოფხვრან მოქალაქეობის არქონის ის მძიმე შედეგები, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემა. ყველა გამოკითხულმა ახალგაზრდამ შეძლო ისეთი ცხოვრების აწყობა, რომელიც მათ საბაზისო მოთხოვნებს აკმაყოფილებს, თუმცა ეს ის არ არის, რაზეც ისინი ოცნებობდნენ და რისი იმედიც ჰქონდათ.

მეც აქ ვარ, მე მივეკუთვნები

ბავშვებსა და ახალგაზრდებთან კონსულტაციების შემდეგ გამოიკვეთა ერთი მკაფიო გზავნილი, – ისინი საკუთარ თავს იმ ქვეყნებთან აიგივებენ, რომლებშიც დაიბადნენ და სადაც მთელი ცხოვრება გაატარეს. თითქმის ყველა შემთხვევაში მოქალაქეობის არქონის პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზად ბავშვისთვის იმ ქვეყნის მოქალაქეობის მინიჭება დასახელდა, სადაც დაიბადა და გაიზარდა. და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს ეს, რათა არცერთ ბავშვს არ მიადგეს ზიანი მოქალაქეობის არქონის გამო და არ გაიზარდოს მიუსაფრობის პირობებში.

მოქალაქეობის არმქონე ბავშვების პრობლემის თავიდან აცილება და ამ პრობლემის გადაჭრა არის მთავარი მიზანი UNHCR-ის კამპანიისა – „მოქალაქეობის არქონის პრობლემის აღმოფხვა 10 წელიწადში, ანუ, 2024 წლამდე“. UNHCR-ი, „მოქალაქეობის არქონის აღმოფხვრის გლობალური სამოქმედო გეგმის“ შესაბამისად, მოუწოდებს ყველა სახელმწიფოს გადადგან ნაბიჯები ამ მიზნის მისაღწევად:

- მიანიჭონ ყველა ბავშვს იმ ქვეყნის მოქალაქეობა, რომელშიც ის დაიბადა, თუ სხვა შემთხვევაში ის მოქალაქეობის გარეშე რჩება;
- განახორციელონ კანონმდებლობის რეფორმირება ისე, რომ დედებს შვილებისთვის საკუთარი მოქალაქეობის გადაცემის ისეთივე უფლება ჰქონდეთ, როგორიც მამებს აქვთ;
- აღმოფხვრან ისეთი კანონები და პრაქტიკა, რომლითაც ბავშვს შეიძლება უარი ეთქვას მოქალაქეობაზე ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ნიშნით;
- უზრუნველყონ დაბადების უნივერსალური რეგისტრაცია მოქალაქეობის არქონის პრევენციის მიზნით.

©unhcr / R. Arnold

2015 წლის ივლისსა და აგვისტოში UNHCR-ი მოქალაქეობის არქონასთან დაკავშირებულ გამოცდილებაზე 250-ზე მეტ ბავშვსა და ახალგაზრდას გაესაუბრა. საუბრებები შედგა აგრეთვე მათ მშობლებსა და მეურვეებთან, სამოქალაქო საზოგადოებისა და მთავრობის წარმომადგენლებთან მსოფლიოს შვიდ ქვეყანაში: კოტ-დ'ივუარში, დომინიკის რესპუბლიკაში, საქართველოში, იტალიაში, იორდანიაში , მალაიზიასა და ტაილანდში . ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც მრავალმხრივი კონსულტაციები გაეწიათ მოქალაქეობის არმქონე ბავშვებსა და ახალგაზრდებს ფართო გეოგრაფიულ არეალში. ეს კვლევა მოწინავეა იმ მხრივაც, რომ რესპონდენტების უდიდესმა ნაწილმა პირველად გამოთქვა საკუთარი მოსაზრებები მოქალაქეობის გარეშე ცხოვრებასთან დაკავშირებით.

ეს მოხსენება, რომელიც ეყრდნობა კონსულტაციების მსვლელობისას შეგროვებულ ინდივიდუალურ ჩვენებებს, ახდენს იმის დემონსტრირებას, თუ რამდენად მნიშვნელოვნად აზიანებს მოქალაქეობის არქონა ბავშვებში სწავლის, ზრდისა და თამაშის პროცესებს, ისევე, როგორც მათ უნარს, იცხოვრონ თვითკმარი ცხოვრებით. მოხსენებაში მკაფიოდაა წარმოჩენილი, თუ როგორ უქმნის ეს პრობლემა ბავშვებს დაუძლეველ ბარიერებს განათლებისა და ადეკვატური სამედიცინო მომსახურების მიღებისას და როგორ უსპობს მათ სამსახურის შოვნის პერსპექტივას. ამ მოხსენებაში ნათლად ჩანს ის უმძიმესი ფსიქოლოგიური ზიანი, რომელსაც განიცდიან არა მარტო ახალგაზრდები, არამედ მათი ოჯახები, თემი და სახელმწიფო.

დღეს მსოფლიოში მილიონობით პატარას ხელიდან ეცლება ბავშვობა იმის გამო, რომ არა აქვთ კუთვნილებისა და დაცვის ის შეგრძნება, რასაც მათ მოქალაქეობა მისცემდა. ეს პრობლემა კიდევ უფრო მძიმეა ბავშვის უფლებების, მათ შორის, მოქალაქეობის უფლებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებების საერთაშორისო ჩარჩო-კანონმდებლობის მასშტაბის გათვალისწინებით. ეს უფლება დაცულია გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციის მე-7 მუხლით, რომელიც რატიფიცირებული აქვს 196 ქვეყნიდან 194-ს. ის ასევე ასახულია სხვა მრავალ საერთაშორისო და რეგიონალურ ნორმატიულ აქტშიც. როგორც ბავშვთა უფლებებისა და კეთილდღეობის აფრიკულმა კომიტეტმა სულ ახლახან დაასკვნა: „ბავშვისთვის მოქალაქეობის არქონა, ზოგადად,

მოქალაქეობის არქონე ბავშვებსა და ახალგაზრდებთან გამართული კონსულტაციები მალაიზიაში

მისი ინტერესების სრულ ანტითეზას წარმოადგენს.“ არცერთი ბავშვი არ უნდა იყოს მოქალაქეობის გარეშე. როდესაც ბავშვი ამ სიტუაციაში დისკრიმინაციული ეროვნული კანონმდებლობის ან სხვა მიზეზების გამო ხვდება, ეს პრობლემა სრულად აღკვეთადია. იმ ზიანის აღიარება, რომელსაც მოქალაქეობის არქონა იწვევს და მის აღსაკვეთად კეთილსინდისიერი იურიდიული და პრაქტიკული ზომების გატარება სახელმწიფოს იმის უზრუნველყოფის საშუალებას მისცემს, რომ ბავშვის ურყევი კავშირი მის ქვეყანასთანმოქალაქეობის მინიჭებით დასრულდეს.

2. ივულისხმება 24 წლამდე ასაკის ახალგაზრდები.
3. იორდანიაში კონსულტაციები შემოიფარგლა სირიელ ლტოლვილ ბავშვებს შორის მოქალაქეობის არქონის პრობლემის პრევენციით.
4. ქვეყნები შეირჩა იმ ნიშნით, რომ იქ უკვე იყო მოქალაქეობის არქონის დადასტურებული შემთხვევები ან რისკის ქვეშ მყოფი ჯგუფები (იორდნია). მხედველობაში იქნა მიღებული ასევე გეოგრაფიული მრავალფეროვნების პრინციპი.
5. ბავშვთა უფლებებისა და კეთილდღეობის აფრიკული კომიტეტი, საქმე „ნუბიელი ბავშვები კენიის წინააღმდეგ“. 2011 წლის 22 მარტის გადაწყვეტილება.

ბავშვებში მოქალაქეობის არქონის მთავარი გამომწვევი მიზეზები

დისკრიმინაცია

დისკრიმინაცია – ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური ან გენდერული ნიშნით – დედამიწაზე მოქალაქეობის არქონის ძირითადი მიზეზია. მსოფლიოში მოქალაქეობის გარეშე დარჩენილი ადამიანების ნახევარზე მეტი უმცირესობის ამა თუ იმ ჯგუფის წარმომადგენელია. სულ ცოტა, 20 ქვეყანას აქვს ისეთი ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც ითვალისწინებს ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ნიშნით მოქალაქეობის მინიჭებაზე უარის თქმას ან არსებული მოქალაქეობის გაუქმებას.
ზოგიერთ ქვეყანაში შეიძლება კანონმდებლობა დისკრიმინაციას არ უშვებდეს, მაგრამ პრაქტიკა განსხვავებული იყოს. მაგალითად, დომინიკის რეს–პუბლიკაში, სადაც მოქალაქეობა კანონითაა გარან–ტირებული, სამოქალაქო რეესტრი ჰაიტური წარმომავ–ლობის მქონე ინდივიდებს ხშირად მოქალაქეობის რეგისტრაციაზე უარს ეუბნება.
მსოფლიოს 27 ქვეყანაში ისეთი ეროვნული კანონმდებლობა მოქმედებს, რომელიც დედებს, მამებისგან განსხვავებით, შვილებისთვის მოქალაქეობის გადაცემას უკრძალავს. შედეგად, ბავშვი შეიძლება მოქალაქეობის გარეშე დარჩეს, თუ ეს სტატუსი მამასაც არა აქვს, ის გარდაცვლილია, ოჯახი მიატოვა, ან არ სურს/არ შეუძლია მოქალაქეობა შვილს გადასცეს. „ჩემს ბავშვებს მოქალაქეობა იმიტომ არა აქვთ, რომ არც მათ ბაბუას ჰქონდა და არც მამას და მე შვილებისთვის არაფრის გაკეთება არ შემიძლია. ლიბანში ისეთი სისტემაა, რომ დედას არ შეუძლია მოქალაქეობის გადაცემა შვილისა და მეუღლისათვის (...) თუ ჩემი ბავშვების მდგომარეობა არ შეიცვლება, მათ მომავალი არ ექნებათ," – ამბობს ამალი, რომელიც ლიბანის მოქალაქეა, მაგრამ მის ცხრა წლის შვილს, რამას მოქალაქეობა არა აქვს.
იტალიაში მოქალაქეობის მინიჭება ხდება ნატურალიზაციის გზით, რისთვისაც საჭიროა პერსონალურად მომზადებული აპლიკაცია ან ინდივიდუალურად დეკლარირებული მზაობა. კრისტინა იტალიაში მოქალაქეობის გარეშე დაიბადა და ეს სტატუსი ეკუთვნის, რადგან 18 წლის გახდა. ქრისტინე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირია და მისთვის რთულია მოქალაქეობის კონცეფციის აღქმა, რომ არაფერი ვთქვათ იტალიის მოქალაქეობის მიღების რთულ პროცედურებსა თუ პერსონალური აპლიკაციის მომზადებაზე. ამის გამო იგი მოკლებულია მოქალაქეობის მისაღებად საჭირო აპლიკაციის მომზადების შესაძლებლობას. ეს მიუღებელია მისი ბოშა მამისათვის, სანდოკანისათვის, რომელსაც ასევე არ გააჩნია ეს სტატუსი: „ჩემი ქალიშვილისათვის მოქალაქეობა ერთადერთი უფლებაა, რაც მას გააჩნია."

13 წლის ანიკი
კოტ-დ'ივუარიდან

©unhcr / A. Froger

18 წლის კრისტინა იტალიიდან და მისი ოჯახი

©unhcr / F. Martino

ხარვეზები ეროვნულ კანონმდებლობაში

ბევრ ქვეყანას ეროვნულ კანონმდებლობაში ჩადებული აქვს ისეთი გარანტიები, რომლებითაც ახალშობილი ბავშვი დაცულია მოქალაქეობის გარეშე დარჩენისაგან. ეს ნორმატიული აქტები გამორიცხავს პრობლემის ერთი თაობიდან მეორეზე გადაცემის ალბათობას. ეს აქტები ასევე პრობლემას აღმოფხვრის იმ შემთხვევებში, როდესაც მშობლებს მოქალაქეობა აქვთ, მაგრამ არ შეუძლიათ მისი ბავშვისათვის გადაცემა ან, როცა ბავშვი მიტოვებულია და მშობლების ვინაობა უცნობია. ამავე დროს, მსოფლიოს ქვეყნების ნახევარზე მეტს კანონმდებლობაში ან საერთოდ არა აქვს ასეთი გარანტიები, ან არასაკმარისად აქვს. ზოგიერთ შემთხვევაში ასეთი აქტები შეიძლება არსებობდეს, მაგრამ მათი აღსრულება ხარვეზებთან იყოს დაკავშირებული. ეს ბავშვებში მოქალაქეობის არქონის პრობლემის მნიშვნელოვანი მიზეზია - იმ 20 ქვეყანაში, სადაც ამ პრობლემის მქონე ყველაზე მეტი ადამიანი ცხოვრობს, ყოველწლიურად, სტატუსის გარეშე სულ ცოტა, 70 000 ბავშვი იბადება.

რისკის კიდევ ერთ ჯგუფს მიეკუთვნებიან მიტოვებული ბავშვები, რომელთა მშობლების იდენტიფიცირება შეუძლებელია (ე.წ. „ნაპოვნი ბავშვები“). ქვეყნების თითქმის მესამედს არა აქვს ისეთი კანონები, რომლებიც უზრუნველყოფს მათ ტერიტორიაზე „ნაპოვნი ბავშვებისთვის“ მოქალაქეობის მინიჭებას. მაგალითად, კოტ-დ'ივუარში ასეთი საკანონმდებლო გარანტიების არარსებობა იმიგრაციის მასშტაბებთან და სამოქალაქო ომთან ერთად განაპირობებს იმასაც, რომ მოქალაქეობის არმქონე 700 000 ინდივიდიდან 300 000 ე.წ. „ნაპოვნ ბავშვად“ მიიჩნევა.

13 წლის გოგონა, ანიკი კოტ-დ'ივუარში ბებია-ბაბუის კმაყოფაზე ძალიან ადრეული ასაკიდან დარჩა. მოკლე ხანში ორივე გარდაიცვალა. ამის შემდეგ ის აღსაზრდელად მისივე ეთნიკური ჯგუფის ოჯახს გადასცეს. იმის გამო, რომ დაბადებისას ბავშვი არ დაურეგისტრირებიათ, მისი მშობლების შესახებ ოფიციალური ინფორმაცია არ არსებობს. გოგონაზე მზრუნველი ოჯახი ეცადა მოენახა ვინმე, ვინც ანიკის მშობლების ვინაობას დაადასტურებდა, მაგრამ უშედეგოდ. ხელისუფლება მიიჩნევს: რადგან ანიკის ნამდვილი მშობლების ვინაობა დაუდგენელია, შესაბამისად, ის კოტ-დ'ივუარის მოქალაქედ არ ითვლება და ამიტომ არა აქვს სტატუსი.

დაბადების რეგისტრაციის არარსებობა

დაბადების რეგისტრაციის არარსებობამ შეიძლება ადამიანებს გაურთულოს ქვეყანასთან ძირეული კავშირის არსებობის დამტკიცება, რაც მათთვის მოქალაქეობის მინიჭების წინაპირობაა და, შესაბამისად, წარმოშვას სტატუსის გარეშე დარჩენის რისკი. ამის მიზეზი ისაა, რომ დაბადების მოწმობაში დარეგისტირებულია დაბადების ადგილი და მშობლების ვინაობა - უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია იმის დასადგენად, რომელი ქვეყნის მოქალაქეობას იღებს ბავშვი.

დაბადების რეგისტრაციის არარსებობა მოქალაქეობის არქონის განსაკუთრებით მაღალ რისკს უქმნის ისეთ სპეციფიკურ სოციალურ ჯგუფებს, როგორიცაა ლტოლვილები და მიგრანტები, ასევე მომთაბარე და საზღვარზე მცხოვრები მოსახლეობა. აქედან გამომდინარე, დაბადების რეგისტრაცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, მაგალითად, თავშესაფრის მიმცემ ქვეყანაში დაბადებული სირიელი ლტოლვილი ბავშვებისათვის, რომელთა დიდი ნაწილი მშობლებისა და ოჯახებისგან განცალკევებულია; რეგისტრაცია ამ ბავშვების მოქალაქეობის პრობლემის დაძლევას შეუწყობს ხელს და სირიის მოქალაქეებად მათ აღიარებას უზრუნველყოფს, რის შედეგადაც, შესაბამისი გარემოებების არსებობის შემთხვევაში, საშშობლოში დაბრუნება შეეძლებათ.

©unhcr / R. Arnold

მოქალაქეობის არმქონე ბავშვები და მოზარდები, რომლებიც ამ ანგარიშის შედგენისას გამოიკითხნენ, განათლების მიღებისას უამრავ დაბრკოლებას აწყდებიან.

ზოგიერთ შემთხვევაში სკოლები ასეთ ბავშვებს საკლასო ოთახებშიც კი არ უშვებდნენ ან, როგორც უცხოელებს, გადამეტებულად მაღალ გადასახადს სთხოვდნენ, რის გამოც მათ არ ეძლევათ განათლების მიღების შესაძლებლობა; ზოგჯერ ასეთ ბავშვებს გამოსაშვებ გამოცდაზე არ უშვებენ ან ატესტატებისა და შესაბამისი სერტიფიკატების გაცემაზე უარს ეუბნებიან, რაც მათ უმაღლესი განათლების მიღებისა და უკეთესი სამსახურის პოვნის პერსპექტივას უსპობს. ასეთ ბავშვებს ხშირად ავტომატურად ეუბნებიან უარს სტიპენდიებსა და სტუდენტურ სესხებზე. მაშინაც კი, როდესაც სხვა ხელის შემშლელი ფაქტორები არ არსებობს, მაინც იზღუდება განათლების მიღების შესაძლებლობები, რადგან მოქალაქეობის გარეშე ახალგაზრდებს არ აძლევენ ქვეყნის შიგნით ან მის საზღვრებს გარეთ გადაადგილების ნებართვას. როგორიც არ უნდა იყოს შეზღუდვა, შედეგი ერთია – კიდევ ერთი ახალგაზრდა ვერ ახერხებს საკუთარი პოტენციალის რეალიზებას.

დაწყებითი განათლება, რომლის უფლებაც ყველას არა აქვს

ფაქტობრივად, მოქალაქეობის არმქონე ყველა ახალგაზრდას, ვისთანაც UNHCR–მა გასაუბრება მოახერხა, დაწყებით სკოლაში სწავლის შესაძლებლობა ჰქონდა. მაშინ, როდესაც დომინიკის რესპუბლიკა, იტალია, მალაიზია და ტაილანდი ამ კატეგორიის ბავშვებს დაწყებით სკოლაში სწავლას არ უზღუდავს, კოტ–დ'ივუარი და საქართველო ოფიციალურად ითხოვს საიდენტიფიკაციო დოკუმენტებს. მიუხედავად ამისა, თითქმის ყველა გამოკითხულმა მოახერხა დაწყებით სკოლაში დასწრება, თუმცა ხშირად ეს ადვილი არ იყო, მოხერხებულობას მოითხოვდა და დამოკიდებული იყო სკოლის დირექტორებისა და მასწავლებლების კეთილ ნებაზე.

ბევრი მშობელი და ბავშვი იხსენებდა, რომ რეგულარულად სჭირდებოდათ სკოლის თანამშრომლების დაყოლიება, რათა საკლასო ოთახის კარი მათთვის ღია ყოფილიყო. „თუ დოკუმენტები არა გაქვთ, სკოლაში მუდმივად დისკომფორტს განიცდით და თავს უხერხულად გრძნობთ. მიუხედავად ამისა, ჩემი მასწავლებლების წყალობით, სკოლის დამთავრება მაინც შევძელი," – ამბობს იზაბელა, დომინიკის რესპუბლიკაში მცხოვრები ჰაიტური წარმომავლობის გოგონა.

ასეთსავე ვითარებაში აღმოჩნდა 19 წლის ქეთი საქართველოდან. როგორც იგი ამბობს, სკოლაში სიარულს მხოლოდ დირექტორის კეთილგანწყობით ახერხებდა. ის მადლიერებით იხსენებს ამ ადამიანს, რადგან ხელისუფლებას რომ აღმოეჩინა დოკუმენტაციისა და მოქალაქეობის არქმონე ბავშვის დასწრება მეცადინეობებზე, დირექტორის პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი დადგებოდა.

18 წლის ტიდა, ტაილანდიდან

წინააღმდეგობები უმაღლესი განათლების მიღებისას

მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობამ საშუალო სკოლის დამთავრებისა და უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელების დიდი სურვილი გამოთქვა, ეს მხოლოდ მცირე ნაწილმა შეძლო. კოტ-დ'ივუარსა და დომინიკის რესპუბლიკაში უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის აუცილებელი წინაპირობა სკოლის დამთავრების შემდეგ ეროვნული გამოცდების ჩაბარებაა. თუმცა ამ გამოცდებზე ხშირად მხოლოდ ისინი დაიშვებიან, ვისაც მოქალაქეობის დადასტურება შეუძლია.

ტაილანდსა და იტალიაში მე-9 კლასის შემდეგ სკოლაში სწავლის გაგრძელება ხშირად სირთულეებთან არის დაკავშირებული. მიუხედავად იმისა, რომ ტაილანდში უმაღლესი განათლების მისაღებად ფორმალური ბარიერები არ არსებობს, გამოკითხულები აცხადებენ, რომ შეზღუდვებია გადაადგილებასთან დაკავშირებით, აგრეთვე ხელი არ მიუწვდებათ სასტიპენდიო პროგრამებსა და სტუდენტურ სესხებზე (ეს მხოლოდ ამ ქვეყნის მოქალაქეებისთვისაა განკუთვნილი), რის გამოც შეზღუდული აქვთ უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა. „მე საკმაოდ კარგი ნიშნები მაქვს," – ამბობს 15 წლის პატჩარი, მოქალაქეობის არმქონე გოგონა ტაილანდის მაღალმთიანი ტომიდან. „შეიძლება კლასში ყველაზე წარჩინებული მოსწავლეც კი ვარ, მაგრამ სტიპენდიას ყოველთვის იმას აძლევენ, ვისაც ეროვნული საიდენტიფიკაციო დოკუმენტი აქვს." მისი თანაკლასელი, 16 წლის ბუნი ასე გადმოსცემს იმ განცდას, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში გამოკითხულ ბევრ ბავშვსაც აწუხებს: „სწავლა-განათლება თითოეული ბავშვის უფლებად უნდა იქცეს. ეს უმნიშვნელოვანესი საკითხია."

ნეგატიური ზეგავლენა თავმოყვარეობასა და ქცევაზე

სკოლაში სწავლასთან დაკავშირებული ბარიერების გადალახვა ხშირად იწვევს მეცადინეობებზე დასწრების გადავადებას ან აფერხებს მომდევნო სემესტრში გადასვლას, რის გამოც მოქალაქეობის არმქონე ბავშვები და ახალგაზრდები თანატოლებს რამდენიმე წლით ჩამორჩებიან. ეს მათზე ხშირად მოქალაქეობის მიღების შემდეგაც ახდენს გავლენას. მარია, ახალგაზრდა ქალი დომინიკის რესპუბლიკიდან ამბობს: „დაბადების მოწმობის არქონის გამო ოთხი წლის განმავლობაში სკოლაში სიარული ვერ შევძელი. როდესაც ბოლოს და ბოლოს ეს საბუთი მივიღე, მართალია, შვება ვიგრძენი, მაგრამ ისეთი განცდა მქონდა, თითქოს ცხოვრების ოთხი წელი დავკარგე."

ხელისუფლების თვითნებური მოქმედებების გამო, ზოგჯერ ერთი ოჯახის ბავშვებს განსხვავებული სტატუსი, ანუ, განსხვავებული შესაძლებლობები აქვთ. „ჩემს და-ძმათაგან ზოგიერთს აქვს საბუთები და შეუძლია უნივერსიტეტში სწავლა. მართალია, მეც ოგივე მშობლები მყავს, მაგრამ უნივერსიტეტში ვერ დავდივარ, რადგან საბუთები არა მაქვს," – ამბობს ალეხანდრა, დომინიკის რესპუბლიკაში დაბადებული მოქალაქეობის არმქონე გოგონა.

ბავშვებისთვის სტატუსის არქონამ, რის გამოც სკოლაში არ დადიოდნენ, მძიმე სოციალური პრობლემები გამოიწვია. 16 წლის მოქალაქეობის არმქონე ედვინისთვის, რომელიც თამილური წარმომავლობის მალაიზიელი ბიჭია, მძიმე შედეგით დასრულდა ის, რომ ვერ იარა სკოლაში. მას არ მიეცა იმ სასარგებლო უნარების მიღების საშუალება, რასაც სკოლა იძლევა – დისციპლინა და სოციალიზაცია. იგი პატარაობიდან დაობლდა და გაიზარდა მიმღებ ოჯახში, სადაც არ ჰქონდა სათანადო მოვლა-პატრონობა და მხარდაჭერა. სკოლაში ვერ ისწავლა იმიტომ, რომ არ ჰქონდა ეროვნული საიდენტიფიკაციო ბარათი და სხვა უცხოელების მსგავსად, მისთვისაც მაღალი იყო გადასახადი. შედეგად, ის მოხვდა ცუდ გარემოში და ნარკოტიკებსა და ალკოჰოლზე დამოკიდებული გახდა.

ახლა ედვინი რეაბილიტაციას გადის და კარგად აცნობიერებს მიზეზ-შედეგობრივ კავშირს მის მდგომარეობასა და მოქალაქეობის არქონას შორის: „მოქალაქეობის დამადასტურებელი საბუთი რომ მქონოდა, ასეთი რამ, რაც დღეს მჭირს, ალბათ, არ დამემართებოდა. ალბათ, არ მოვხვდებოდი ცუდ წრეში და მავნე ჩვევებსაც ავცდებოდი. სკოლაში ვისწავლიდი და ჩემი ოცნების ასრულებას, მალაიზიის საფეხბურთო ნაკრების წევრობას შევეცდებოდი. მე ხომ ჩემი სტილი მაქვს, რასაც ედვინის სტილი ჰქვია. ეს რონალდოს სტილზე უკეთესია, მიუხედავად იმისა, რომ შთაგონება სწორედ მისგან მოდის."

ბუნი, 16 წლის,
ტაილანდი

„სწავლა-განათლება თითოეუ
იქცეს. ეს ყველაზე უფრო

©unher / R. Arnold

16 წლის ედვინი
მალაიზიიდან

ული ბავშვის უფლებად უნდა
მნიშვნელოვანი საკითხია.“

30-ზე მეტ ქვეყანაში სამედიცინო მომსახურების მისაღებად ბავშვებს სჭირდებათ ოფიციალური დოკუმენტაცია. სულ ცოტა, 20 ქვეყანაში კი მოქალაქეობის არმქონე ბავშვების ვაქცინაცია კანონიერად შეუძლებელია. გადაადგილების შეზღუდვა, სამედიცინო დახმარებაზე დაწესებული არალოგიკურად მაღალი ფასი, ისეთი, როგორიც ეს უცხოელებისთვისაა, და დისკრიმინაცია ხშირად კუმულაციურ ეფექტს ახდენს. ამის შედეგია ის, რომ ბევრი გამოკითხული სტატუსის არმქონე ბავშვი და ახალგაზრდა სამედიცინო მომსახურებას მიუწვდომლად მიიჩნევს. ეს ზეგავლენას ახდენს არა მარტო ბაშვთა ჩართვაზე ჯანდაცვის პრევენციულ ღონისძიებებში, არამედ იმაზეც, რომ ავადმყოფობის ან ტრავმების დროსაც კი მათ დაგვიანებით მიეწოდებათ კვალიფიციური სამედიცინო მომსახურება ან საერთოდ მის გარეშე რჩებიან. და კიდევ, ბავშვობისას უსტატუსო მდგომარეობა ისეთ ფსიქოლოგიურ ტრავმას და მძიმე კვალს ტოვებს, რომ ზრდასრულ ასაკშიც კი მათ არ ტოვებს თავმოყვარეობის შელახვისა და უპერსპექტივობის განცდა, მათ შორის მაშინაც, თუ მოქალაქეობას მოიპოვებენ.

15 წლის პრატაპი მალაიზიიდან

“ასე რატომ უნდა დავი

დაბრკოლებები სამედიცინო მომსახურების მიღებისას

ბევრმა გამოკითხულმა განაცხადა, რომ ეროვნული საიდენტიფიკაციო დოკუმენტების უქონლობის გამო სამედიცინო მომსახურების მიღებისას პრობლემები შეექმნა. როგორც იტალიაში მცხოვრებმა ბოშა ბავშვების მშობლებმა აღნიშნეს, იქიდან გამომდინარე, რომ უსტატუსობის გამო მათ შვილებს საჯარო პედიატრიით ან საბავშვო-სამედიცინო კონსულტაციით სარგებლობა არ შეეძლოთ, უმარტივესი პროცედურებისთვისაც კი უწევდათ ბავშვების საჯარო საავადმყოფოების მიმღებ განყოფილებებში წაყვანა. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე კრისტინას მოქალაქეობის არმქონე ბოშა მამა, სანდოკანი ამბობს: „მნიშვნელოვანია, მშობლებმა საბავშვო-სამედიცინო კონსულტაცია კვალიფიციური პედიატრისგან მიიღონ. ინფორმაციას ბავშთა კვებისა და იმუნიზაციის შესახებ საავადმყოფოს მიმღებში ვერ მიიღებთ. მაგრამ ეს ჩვენთვის სამედიცინო მომსახურების მიღების ერთადერთი შესაძლებლობაა უბრალო გაციების დროსაც კი.“

მალაიზიაში, მოქალაქეობის არმქონე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მშობლები და მეურვეები იმ სირთულეებს ასახელებენ, რომლებსაც სახელმწიფო სამედიცინო მომსახურებისა და დახმარების მიღებისას წააწყდნენ. ხერხემლის მძიმე თანდაყოლილი პათოლოგიის (spina bifida) მქონე 14 წლის ბიჭის მამამ, სანტოშმა, ვერ მოახერხა სახელმწიფოსგან ინვალიდის სავარძლის მიღება, რაც ბავშვის გადაადგილებისთვისიყო აუცილებელი. საბოლოოდ, მან საჭირო თანხის შეგროვება სათემო არასამთავრობო ორგანიზაციის დახმარებით შეძლო. იტალიაში კი სანდოკანი მისი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო წუხს, რადგან სახელმწიფო მხარდაჭერის გარეშე გოგონა საკუთარ თავზე ზრუნვას ვერ ახერხებს. „სანამ შემეძლება, მივხედავ, მაგრამ 30 ან 40 წლის შემდეგ ამას უკვე ვერ მოვახერხებ,“ – ამბობს ის.

ფინანსური ბარიერები

გამოკითხვის მონაწილეები სამედიცინო მომსახურების ყველაზე გადაულახავ ბარიერად მის სიძვირეს ასახელებენ. მაშინ, როცა სახელმწიფო საკუთარ მოქალაქეებს, მეტწილად, სუბსიდირებულ ან, სულაც, უფასო ჯანდაცვას სთავაზობს, სტატუსის არმქონე ადამიანებს ხშირად უწევთ ისეთივე მაღალი საფასურის გადახდა, როგორც ეს უცხოელებისთვის არის დაწესებული. ამიტომ, სასიცოცხლოდ აუცილებელი სამედიცინო მომსახურება მათთვის ხელმიუწვდომელი ხდება.

ზოგიერთი გამოკითხული მშობელი აცხადებს, რომ სწორედ ამ პრობლემის გამო ისინი, ისევე, როგორც მათი შვილები, სამშობიაროს ნაცვლად სახლებში დაიბადნენ, რაც ართულებს დაბადების სარეგისტრაციო დოკუმენტების მიღებას. იყო შემთხვევები, როდესაც მშობლებმა აღიარეს, რომ მეგობრებისა და მეზობლების საიდენტიფიკაციო დოკუმენტების არაკანონიერად გამოყენებაზეც უფიქრიათ. თამილური წარმომავლობის უსტატუსო მალაიზიელი შანტი, რომელიც პატარა ბიჭის დედაა, ამბობს: „ჩემი ბიჭი ოთხი წლისაა, საავადმყოფოში არასდროს ყოფილა, დაბადებითაც სახლში დაიბადა. რატომ? იმიტომ, რომ მოქალაქეობა არა აქვს. თუ ის ავად გახდება და ჰოსპიტალიზაცია დასჭირდება, უბრალოდ, ვინათხოვრებ ვინმესგან დოკუმენტებს.“

©unhcr / R. ARNOLD

ᲢᲐᲜᲯᲝ?!“

18 წლის კინგი,
ტაილანდიდან

19 წლის ჟირაირი,
საქართველოდან

რისკი, დამცირება და ფსიქოლოგიური იარები

უსტატუსო ბავშვები იხსენებენ შემთხვევებს, როდესაც მათი ოჯახები სამედიცინო მომსახურების დასაფარად ფულს სესხულობდნენ, რაც შემდეგ მძიმე ტვირთად აწვებოდათ. 19 წლის კინგი ტაილანდის მაღალმთიანეთის ახას ტომიდან იხსენებს, როგორ მოხვდა მისი ასევე უსტატუსო ძმა მძიმე ავარიაში: „მისთვის რომ ემკურნალათ, იძულებული ვიყავით უცხოელებისთვის დაწესებული მაღალი საფასური გადაგვეხადა. დედამ მეზობლისგან დიდი თანხა ისესხა, რომელსაც ახლაც იხდის.“

15 წლის მალაიზიელი პრატაპი იხსენებს, როგორ მიიყვანეს ფეხბურთის თამაშისას მძიმედ დაშავებული ფეხით საავადმყოფოში, იქ კი, პირველ რიგში, მისი მოქალქეობის საკითხით დაინტერესდნენ: „ძალიან გავბრაზდი. მიუხედავად იმისა, რომ აშკარად ძლიერ ტკივილს განვიცდიდი, არავის უნდოდა ჩემი დახმარება. მახსოვს, რა გულდასმით სწავლობდნენ ჩემი სტატუსის საკითხს საავადმყოფოს მიმღებში. კი მაგრამ, ჩემი ბრალია მოქალაქეობა რომ არ მაქვს?! მეც ამ ქვეყანაში დავიბადე, ისე როგორც ყველა სხვა მალაიზიელი. ასე რატომ უნდა ვიტანჯებოდე?!“

ზოგიერთისთვის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა და ფულის სესხებაც კი შეუძლებელია. მიუხედავად სერიოზული ტრავმისა, 19 წლის ჟირაირის ოჯახმა საქართველოდან ვერც საჭირო დოკუმენტაციის მოძიება შეძლო და ვერც ფული იშოვა. ამიტომ ოჯახი იძულებული გახდა მისთვის სახლში ემკურნალათ. „როცა პატარა ვიყავი, ფეხი მოვიტეხე,“ – იხსენებს ჟირაირი, „აშკარა საჭიროების მიუხედავად, საავადმყოფოში არც წავსულვართ, რადგან ვიცოდით, რომ (მოქალაქეობის დამადასტურებელი) საბუთების გარეშე იქ არ შეგვიშვებდნენ. მე სახლში ვიმკურნალე. ამას დიდი დრო დასჭირდა და ძალიან მძიმე იყო.“

დოკუმენტაციის არქონის გამო განცდილი პერმანენტული დამცირება ბევრმა გამოკითხულმა სამედიცინო მომსახურების მიღებისას მნიშვნელოვან შემაფერხებელ გარემოებად დაასახელა. ელენა, უსტატუსო დედა დომინიკის რესპუბლიკიდან, იხსენებს, რა ბრძოლის გადატანა მოუხდა შვილისთვის სამედიცინო მომსახურების გასაწევად საავადმყოფოს პერსონალი რომ დაერწმუნებინა: „ნამდვილად დამამცირებელია, როცა საბუთების წარდგენა არ შეგიძლია. საავადმყოფოში მეუბნებოდნენ, რომ

©unhcr / K. shartava

ამის გამო ჩემი შვილისათვის სამედიცინო მომსახურებას ვერ მივიღებდი. მხოლოდ დიდი ხვეწნა–მუდარის შემდეგ მოვახერხე მათი დათანხმება.“

22 წლის კავიტა მალაიზიიდან გვიხსნის, რატომ ყოყმანობს და ვერ ითხოვს სამედიცინო მომსახურებას, მაშინაც კი, როცა ამის საჭიროება აშკარაა: „ბოლო დროს ბევრს ვახველებდი და სისხლი ამომდიოდა. მივმართე პოლიკლინიკას და მივიღე წამლები, მაგრამ არ მიშველა. მითხრეს, საავადმყოფოში წავსულიყავი, რაც ძალიან დიდ უხერხულობას მიქმნის. იქ მილიონ კითხვას მისვამენ ჩემს წარმომავლობაზე, რადგან მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტები არა მაქვს, ეჭვის თვალით მიყურებენ. ამ დროს ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს რაღაც მომეპაროს. ასე რომ, იქ წასვლა არ შემიძლია.“

საკმაოდ ტრაგიკულია ის გარემოება, რომ უსტატუსოდ გატარებულმა ბავშვობამ გამოკითხულთა მნიშვნელოვან ნაწილს ძლიერი ფსიქოლოგიური დაღი დაასვა. ისინი საკუთარ თავს ხშირად ახასიათებდნენ ისეთი სიტყვებით, როგორიცაა, „უხილავი“, „უცხო“, „ჩრდილში მყოფი“, „ქუჩის ძაღლივით“ და „უძლური“. სხვები, მაგალითად, 16 წლის პალომა დომინიკის რესპუბლიკიდან, ერთდროულად კუთვნილებისა და გარიყულობის პარადოქსულ განცდას აღწერს. ის ამბობს: „მიუხედავად საბუთების არქონისა, თავს დომინიკელად მივიჩნევ, მაგრამ უსტატუსობის გამო ხალხი არასრულფასოვან დომინიკელად აღმიქვამს.“ მალაიზიაში კი სევდიან კავიტას უფრო რადიკალური აზრები აწუხებს: „ზოგჯერ თვითმკვლელობაზეც ვფიქრობ–ხოლმე.“ და მხოლოდ საკუთარ ოჯახზე ფიქრი არწმუნებს ამ აზრის სიმცდარეში.

19 წლის ლელი, რომელიც დაბადებიდან უსტატუსო იყო და მხოლოდ ახლახან მიიღო იტალიის მოქალაქეობა, ახალი იდენტობის აღქმასთან დაკავშირებულ სირთულეებს ხსნის: „მიუხედავად იმისა, რომ ახლა უკვე ოფიციალურად ვარ იტალიელი, უსტატუსობის განცდა, როგორც მუდმივი დამღა, კვლავ ჩემთანაა.“

„ამ ზაფხულს მე ბეისბოლ

13 წლის ჯო,
დომინიკის
რესპუბლიკიდან

©unhcr / M. REDONDO

გარდა ფუნდამენტური უფლებებისა, მოქალაქეობის არმქონე ბავშვები ხშირად თავს დაუცველად გრძნობენ, მათ ეზღუდებათ თამაშის თავისუფლების არეალი და გარე სამყაროს შეცნობის შესაძლებლობა – ანუ, ის, რასაც ჩვენ ბავშვურ რუტინას ვეძახით. სპორტულ თამაშობებში მონაწილეობის ხალისი და სასკოლო არდადეგებისგან მიღებული სიხარული ბავშვებს ბუნებით აქვთ მინიჭებული, თუმცა გამოკითხული ბავშვები და ახალგაზრდები განსხვავებულ ისტორიებს ყვებიან. ისინი გაუცხოებას გრძნობენ იმ ქვეყანაში, რომელსაც საკუთარ სამშობლოდ თვლიან და ადრეული ასაკიდან დისკრიმინაციას განიცდიან. ზოგიერთს დროზე ადრე უწევს ზრდასრული ადამიანის პასუხისმგებლობის აღება, რადგან ნაადრევად იწყებენ მუშაობას, ცხოვრობენ არაკეთილმოსურნე გარემოში და უწევთ სახელმწიფოს მტრულ დამოკიდებულებასთან გამკლავება. უკიდურეს სიტუაციებში მოქალაქეობის არმქონე ბიჭები და გოგონები ექსპლუატაციისა და ძალადობის მსხვერპლიც ხდებიან–ხოლმე.

ნაადრევი დაქალება-დაკაცება

ისევე, როგორც ბევრი სხვა ბავშვი, უსტატუსო პატარებიც თავისუფალ დროს სპორტულ თამაშობებში ატარებენ და პროფესიონალი სპორტსმენის კარიერაზე ოცნებობენ. მაგრამ ამ ოცნებებს ფრთები, ხშირად, ნაადრევად ეკვეცება–ხოლმე. როგორც 16 წლის ტაილანდელი ნირანი ყვება: „მე სხვებთან მინდა თამაში, მაგრამ, ზოგჯერ, მოქალაქეობის არქონის გამო ასპარეზობებში მონაწილეობას ვერ ვახერხებ. ისე, ძალიან მინდა გავხდე პროფესიონალი ფეხბურთელი.“

დომინიკის რესპუბლიკაში ბევრმა გამოკითხულმა საყვარელ გართობად ბეისბოლი დაასახელა, რომელიც ამ ქვეყანაში სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობაა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ მათგანს ამ სპორტში გარკვეული წარმატებების მიღწევა შეეძლო, ეს საკითხი დღის წესრიგიდან ავტომატურად მოიხსნა. „ჩემს ბიჭს გუნდის წევრობა და ბეისბოლის პროფესიულ დონეზე თამაში შესთავაზეს, მას უცხოეთში გასვლის შანსიც ექნებოდა, მაგრამ დოკუმენტაციის უქონლობის გამო გუნდში ჩარიცხვა შეუძლებელია,“ –ამბობს ერთ–ერთის დედა.

ლს არ ვთამაშობ.“

დასაქმების შესაძლებლობებისა და სოციალურ მომსახურებაზე წვდომის შეზღუდვა ოჯახებს, ხშირად, უმძიმეს ეკონომიკურ პირობებში აყენებს, რის გამოც მათ ყველაზე პატარა წევრებსაც მუშაობა უწევთ. საქართველოში ყველა სახელმწიფო მომსახურებაზე, მათ შორის, სოციალურ დახმარებაზე წვდომისთვის საჭიროა საიდენტიფიკაციო დოკუმენტები. აი, რას ამბობს ჟირაირი: „თუ საბუთები არ გაქვთ, ვერანაირ დახმარებას ვერ მიიღებთ... მე ადრეული ასაკიდან ყოველთვის ვმუშაობდი, რადგან ბებიაჩემის წინაშე პასუხისმგებლობა მქონდა. მასაც არა აქვს მოქალაქეობა.“

ზოგიერთი დომინიკელი თინეიჯერი გამოგვიტყდა, რომ სასკოლო არდადეგების დროს ოჯახისთვის დამატებითი სახსრების მოძიების იმედით ნაგავში ქექვა უწევდათ. ჯო ერთ-ერთია მათ შორის, ვისაც სან პედრო დე მაკორისის ნაგავსაყრელზე ხშირად შეხვდებით. ეს „სათამაშო მოედანი“ ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში, შაქრის ლერწმის თვალუწვდენელ პლანტაციებს შორის მდებარეობს და ჯო თავის არდადეგებს მთლიანად აქ, ნარჩენების გროვებში ლითონის ჯართის ძიებაში ატარებს. ამბობს, რომ დღეში 50 პესომდე (1 აშშ დოლარი) შეუძლია გამოიმუშაოს.

„მიყვარს სკოლაში სიარული,“ – ამბობს ჯო, რომელიც ოჯახთან ერთად ელ სოკოში ცხოვრობს და ახლომდებარე სკოლაში დადის. ეს არის წიდის ბლოკებისგან ნაგები დასახლება, რომელიც ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში აშენდა პლანტაციის მუშებისა და მათი ოჯახებისთვის. „განსაკუთრებით, მათემატიკა მიყვარს,“ – ამბობს ჯო. ამავე დროს მას ბეისბოლის კეპი ახურავს, ეს კი ბეისბოლისადმი მის ინტერესზე მიანიშნებს, რასაც თითქმის ყველა დომინიკელი ახალგაზრდა იზიარებს. „როცა გავიზრდები, მინდა ბეისბოლის მოთამაშე გამოვიდე,“ – გამოგვიტყდა ჯო, „მაგრამ ამ ზაფხულს მე ბეისბოლს არ ვთამაშობ.“

დაუცველობის მუდმივი განცდა

მოქალაქეობის არქონამ შეიძლება ბავშვები ისეთ მდგომარეობაში ჩააგდოს, რომლებშიც თავს დაუცველად იგრძნობენ და თავისუფალი გადაადგილება შეეზღუდებათ. 19 წლის მალაიზიელი სინჯა იხსენებს ინციდენტს, რომელმაც მასზე მძიმედ იმოქმედა. ის მაშინ 17 წლის იყო: „ორი წლის წინ ავტობუსი, რომლითაც ვმგზავრობდი, საგუშაგოზე გააჩერეს. პოლიცია დამნაშავეებს ეძებდა. შემამოწმეს და, რადგან მოქალაქეობის დამადასტურებელი საბუთი არ მქონდა, ავტობუსიდან ჩამომსვეს. ძალიან შემრცხვა. მომექცნენ ისე, როგორც კრიმინალს. წამიყვანეს პოლიციის განყოფილებაში, თუმცა საბოლოოდ სიტუაცია მოგვარდა. საზარელი შემთხვევა იყო.“

23 წლის კოტ-დ'ივუარელი ჯოზეფი გვიყვება, როგორ ეშინია, როდესაც მშობლიური სოფლის დატოვება უწევს: „გადაადგილება არ შემიძლია, რადგან პოლიცია და ჟანდარმერია ყველგან დოკუმენტებს ითხოვს. მე საბუთები არა მაქვს, ამიტომ ფულს მთხოვენ. რადგან ფულიც არა მაქვს, ცემითა და დაპატიმრებით მემუქრებიან.“

მიიჩნევა, რომ უსაფრთხოება მოქალაქეობასთან მჭიდროდაა დაკავშირებული. დიმიტრუ, მოქალაქეობის არმქონე მშობელი იტალიიდან, იხსენებს 18 წლის ასაკში როგორ დადგა დაპატიმრების საფრთხის წინაშე და როგორ ემუქრებოდნენ დეპორტაციით. კიდევ ერთი უსტატუსო მამა, სანდოკანი აღნიშნავს, რომ იტალიის მოქალაქეობა დაცვის უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტორია. იმის გათვალისწინებით, რომ დასახლება, რომელშიც ის ცხოვრობს როგორც ბოშათა ოჯახი, ადვილად იდენტიფიცირებადია, დისკრიმინაციას განიცდის.

ტაილანდში კი 18 წლის არტიმ აგვიხსნა, რომ მისი ოჯახი საკუთარი კარმიდამოდან შეიძლება ნებისმიერ დროს გამოასახლონ: „დედაჩემმა მიწა ნაცნობისგან არაფორმალურად იყიდა, რადგან არცერთ ჩვენგანს მოქალაქეობა არ ჰქონდა და საკუთრების საბუთებში საკუთარი სახელის ჩაწერა არ შეეძლო. ძალიან მეშინია, რომ ერთ მშვენიერ დღეს სახლ-კარს ჩამოგვართმევენ.“

მოწყვლადობა ექსპლუატაციისა და ძალადობის მიმართ

მოქალაქეობის არქონა მოწყვლადობის პრობლემას კიდევ უფრო აღრმავებს და, უკიდურეს შემთხვევებში, ექსპლუატაციასა და ძალადობას იწვევს. კოტ-დ'ივუარში ბევრ მიტოვებულ ბავშვს მოქალაქეობა არა აქვს და მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტების არქონა მათ ისედაც მძიმე ყოფას კიდევ უფრო ამძიმებს. 10 წლის დევიდი სკოლაში არ დადის, რადგან მისი მეურვე მიიჩნევს, რომ დოკუმენტების გარეშე ეს შეუძლებელია. ეს ვითარება ბავშვზე სერიოზულ ნეგატიურ გავლენას ახდენს; ის ნერვიულია, მარტო ვერ იძინებს. მაშინ, როცა მისი მეგობრები და შეძენილი და-ძმა სწავლობენ, დევიდი ცხვარს მწყემსავს და საშინაო საქმეებს ასრულებს.

ბავშვის ზრდასთან ერთად პრობლემებმა შეიძლება სხვა სახე შეიძინოს. 22 წლის კლემენტინი და 21 წლის ოდილი კოტ-დ'ივუარის დედაქალაქ აბიჯანში მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე დები არიან. როცა პატარები იყვნენ, დეიდამ, რომელიც მათ მეურვეობას უწევდა, ისინი რესტორანში გაამწესა სამუშაოდ, მოგვიანებით კი პროსტიტუციაში ჩაბმა აიძულა. მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტების არქონის გამო ისინი დაუცველები იყვნენ და თავს ერთგვარ ხაფანგში გრძნობდნენ. დებს გასაქცევად სიმამაცე მხოლოდ მაშინ ეყოთ, როცა სიტუაცია გაუსაძლისი გახდა. თუმცა ამ დროს დაკარგეს ყველა პირადი ნივთი, მათ შორის, კლემენტინის, ოთხი წლის ვაჟის დაბადების მოწმობა, რის გამოც ბავშვს ახლა მოქალაქეობის გარეშე დარჩენა ემუქრება.

22 წლის კავიტა
მალაიზიიდან

19 წლის ჟირაირი
საქართველოდან

„სამყაროს პარი ჩემთვის ჩარაზულია,“

გამოკითხული ახალგაზრდები ერთ განსაკუთრებულ პრობლემას გამოარჩევენ – ეს არის ისეთი სამუშაოს დეფიციტი, რომელიც მათ შესაძლებლობებს, ამბიციასა და პოტენციალს შეეფერება. თუ ეს პრობლემა არ გადაიჭრა, მოქალაქეობის არქონამ მოზარდი ასაკიდან ზრდასრულობაში გადასვლისას მათ შეიძლება ახალი, დაუძლეველი წინააღმდეგობები შეუქმნას. მიუხედავად იმისა, ეს პრობლემა უკავშირდება განათლების წვდომის შეზღუდვას თუ თავისუფალ გადაადგილებას, მოქალაქეობის არმქონე ახალგაზრდას ეს ხელს უშლის სიღატაკისა და მარგინალიზაციისგან თავის დაღწევაში. ბევრმა გამოკითხულმა ახალგაზრდამ აღნიშნა, რომ შეძლო ისეთი ცხოვრების აწყობა, რომელიც მათ საბაზისო მოთხოვნებს აკმაყოფილებს, თუმცა ეს ის არ არის, რაზეც ისინი ოცნებობდნენ და რისი იმედიც ჰქონდათ.

გაურკვევლობა და გულგატეხილობა

გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობამ აღიარა, რომ სკოლის დამთავრების ასაკის მოახლოებასთან ერთად, მათ ჩამოუყალიბდათ მწევავე შეგრძნება იმისა, რომ მოქალაქეობის არქონა მათ სამომავლო პერსპექტივებს მძიმე დაღს დაასვამდა. „მთელ ჩემს ცხოვრებას კითხვის ნიშანი გასდევს.“ 23 წლის მალაიზიელი ვიკაშის ეს სიტყვებით ერთგვარად აჯამებს უსუსურობის, გაურკვევლობისა და იმედგაცრუების განცდას, რაც UNHCR–ის მიერ გამოკითხულმა ბევრმა ახალგაზრდამ გამოთქვა. ვიკაშს, ისევე როგორც მის ბევრ თანატოლს, სინგაპურსა და ინდოეთში მოგზაურობა სურდა, თუმცა სამგზავრო საბუთების უქონლობის გამო, არათუ საზღვარგარეთ, მისი მშობლიური ფედერალური შტატის გარეთ გასვლის შემთხვევაშიც კი დაკავება ემუქრებოდა.

დომინიკელი 19 წლის ხავიერი ახლა მშენებელი მუშაა. მან საკუთარი გეგმების ხორცშესხმა ვერ შეძლო, რადგან მოქალაქეობის დამადასტურებელი საბუთების გარეშე საჭირო აკადემიური კვალიფიკაციის მიღება ვერ მოახერხა: „მე მინდა ვისწავლო იურიდიულზე, რადგან იურისტის პროფესიას პატივს ვცემ,“ – ამბობს ხავიერი, „ჩემი ოცნება ადვოკატობაა, რითაც ადამიანების დახმარებას შევძლებ.“

ბევრმა გამოკითხულმა ახალგაზრდამ აღნიშნა, რომ კარგად აქვთ გაცნობიერებული, როგორი მძიმე გავლენა აქვს მათ დასაქმებაზე გადაადგილების შეზღუდვას და როგორ უსპობს ეს ადგილობრივი თემისა და რაიონის გარეთ სამსახურის შოვნის პერსპექტივას. 19 წლის ტაილანდელი კინგი ყვება: „კარგი სამსახურის საშოვნელად გამოცდილება მჭირდება, მაგრამ, თუ დავაპირებ ჩემი რაიონის ფარგლებს გარეთ გასვლას, სპეციალური ნებართვა უნდა ავიღო. ეს ნამდვილი დაბრკოლებაა და იმას ნიშნავს, რომ ვკარგავ გამოცდილების მიღების კიდევ ერთ შანსს, რაც უფრო კონკურენტუნარიანს გამხდიდა. ამასობაში, ვხედავ, რა სწრაფად იზრდებიან სხვები. ზოგჯერ მზად ვარ, საბოლოოდ დავყარო ფარ–ხმალი.“

შეუპოვრობისა და მიზანდასახულობის წყალობით ზოგიერთი ასეთი ახალგაზრდა მაინც ახერეხებს საკმაოდ რთულ კონკურსში გამარჯვებას, თუმცა საბოლოოდ დასაქმებაზე მას მაინც უარს ეუბნებიან მხოლოდ იმიტომ, რომ სამსახურის დასაკავებლად საჭირო ფორმალურ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს.

მალაიზიელ კავიტას სურდა ესწავლებინა ხელოვნება, მაგრამ მოქალაქეობის არქონის გამო არცერთმა კოლეჯმა არ მიიღო სამუშაოდ. თუმცა, ამან ვერ შეაშინა და დასაქმებისთვის განაცხადიადგილობრივ ბაგა–ბაღში შეიტანა. მიუხედავად იმისა, რომ გასაუბრება შესანიშნავად გაიარა, სამსახურში მაინც არ მიიღეს იმ მიზეზით, რომ მას საბანკო და საპენსიო ანგარიშის გახსნა არ შეეძლო. ახლა ის მეგობრის სასურსათო მაღაზიაში მუშაობს. „მართლაც ჯოჯოხეთური სამუშაოა,“ – ამბობს კავიტა, „მაგრამ ამავე დროს ძალიან მჭირდება, რადგან მოქალაქეობის დამადასტურებელი საბუთების გარეშე სხვაგან მუშაობა არ შემიძლია. მიუხედავად ამისა, მაინც მასწავლებლობაზე ვოცნებობ. პატარაობიდან შემიყვარდა ეს პროფესია. ახლა ბიძაჩემის სახლში ბავშვებს ვამეცადინებ–ხოლმე, და ასე ვასულდგმულებ ჩემს ოცნებას.“

იმის გამო, რომ მოქალაქეობის არმქონე ახალგაზრდებს პროფესიული კვალიფიკაციის შეძენა მუშაობის პროცესში არ შეუძლიათ, ისინი საჭირო უნარ–ჩვევების მისაღებად პროფესიულ კურსებსა და მოხალისეობას მიმართავენ. 21 წლის ბოშა მამაკაცმა, ვალენტინომ მუნიციპალური საბჭო დაარწმუნა, რომ მცხობელთა

©unhcr / R. Arnold

კურსზე დაეშვათ. „პიცის ცხობის მუნიციპალური კურსი გავიარე და ძალიან კარგად ავითვისე," – ამბობს ის. „მეგობრის პიცერიაში ვმუშაობდი და კლიენტები ინტერესდებოდნენ, ვინ იყო ის სპეციალისტი, რომელიც პიცას აცხობდა?! ერთი პერიოდი ბანგლადეშელ ემიგრანტებს პიცის ცხობას ვასწავლიდი. ძალიან მინდოდა საკუთარი პიცერია მქონოდა, მაგრამ ამისთვის მოქალაქეობა უნდა მიმეღო. ვცდილობდი მეპოვნა სამსახური, სახლი. მინდოდა, ცხოვრების ჩვეულებრივი რიტმისთვის ამეწყო ფეხი. სხვებისთვის ასეთი რაღაცები შეიძლება ტრივიალურად ჟღერდეს, მაგრამ ჩემთვის – არა."

ოცნებების მსხვრევა

გამოკითხული ახალგაზრდების ერთი, ყველაზე დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ მათი ოცნებები მანამ დასამარდა, სანამ მათ განხორციელებას შეეცდებოდნენ. ბევრი უნარიანი ახალგაზრდა, რომელსაც საკუთარი თემისა და საზოგადოებისთვის სიკეთის კეთების ძლიერი სურვილი ამოძრავებდა, იძულებული იყო იმ შეზღუდულ სამუშაოს დასჯერებოდა, რომელიც მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის იყო ხელმისაწვდომი. „მინდოდა, ექიმი გავმხდარიყავი," – ამბობს 16 წლის ჯულია დომინიკის რესპუბლიკიდან, „ყველას დახმარება მინდოდა და არა მარტო მათი, ვისაც ფული აქვს. მაგრამ, ამის იმედი თანდათან მეკარგება, რადგან საბუთები არა მაქვს. მე ვერ შევძლებ ვერც სკოლის გამოსაშვები გამოცდების ჩაბარებას და ვერც უნივერსიტეტში სწავლას."

საქართველოში კი ჟირაირი, რომელიც ოცნებობს გახდეს მოჭიდავე, ხვდება, რომ დრო მის საწინააღმდეგოდ მუშაობს: „სამყაროს კარი ჩემთვის ჩარაზულია. ყველა ასპარეზობაზე მონაწილეობის მისაღებად წავიდა, მე კი დავრჩი და მარტო ვვარჯიშობ. მწვრთნელები მამხნევებენ, ყველაფერი კარგადაა, მოითმინე და ვარჯიში გააგრძელეო. ახლა ყველა წასულია და, როცა დაბრუნდებიან, თან უამრავ სიახლეს ჩამოიტანენ. ვუსმენ მათ მონათხრობს და გული მიკვდება. მაგრამ კვლავ მაქვს იმის იმედი, რომ კარგი მწვრთნელი გამოვალ და ახალგაზრდებს კარგ მაგალითს მივცემ. ოცნებების ასრულებისთვის მხოლოდ ერთი რამ მჭირდება – მოქალაქეობა."

18 წლის არტი ტაილანდის მაღალმთიანეთის ახას ტომიდან სერიოზული და ბეჯითი მოსწავლეა, რომელიც საკუთარი სკოლითა და თემით ამაყობს. ის მოხალისე მოსწავლეთა ჯგუფის ლიდერია, რომელიც ადგილობრივი ტყის აღდგენის პროექტზე მუშაობს, თემში ნარკოტიკებით ვაჭრობის წინააღმდეგ საინფორმაციო კამპანიას უძღვება და ნარკოდამოკიდებულებს რეაბილიტაციაში ეხმარება. თანატოლები და მასწავლებლები არტის პატივისცემით ეპყრობიან. თუმცა მისი ნამდვილი მოწოდება ცეკვაა. „ცეკვის მასწავლებლობაზე ვოცნებობ," – ამბობს 18 წლის გოგონა. „მინდა, რომ მაღალმთიანეთის სახელმწიფო სკოლაში ტრადიციული და სხვა ცეკვები ვასწავლო. მინდა ურთიერთობა მქონდეს სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან და მათ ტაილანდური კულტურა გავაცნო. მაგრამ, ვფიქრობ, ეს შეუძლებელია, რადგან ტაილანდის მოქალაქეობა არა მაქვს."

არტი შიშობს, რომ მოქალაქეობის გარეშე მის ოცნებებს ასრულება არ უწერია და სამუშაოდ მშობლების ფერმაში მოუწევს დაბრუნება. მისი თანაკლასელებიც სხვადასხვა პროფესიაზე ოცნებობენ – მათემატიკის მასწავლებლობაზე, პოლიციელობაზე,

18 წლის არტი, ტაილანდიდან

© Unher / R. Arnold

19 წლის
ხავიერი,
დომინიკის
რესპუბლიკიდან

მუსიკოსობაზე, მაგრამ ისინიც მოქალაქეობაზე ოფიციალურ დასტურს ელოდებიან. ისინი ხომ ახას ტომის წევრები არიან და ბევრ მათგანს მოქალაქეობა არა აქვს.

თუმცა არსებობს დამაიმედებელი სიახლეებიც. მთავრობები იწყებენ იმის გააზრებას თუ რამდენად მნიშვნელოვანია მოქალაქეობა ახალგაზრდა ადამიანებისთვის და რამდენად დიდი წვლილის შეტანა შეუძლიათ მათ საკუთარი თემის წარმატების, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის საქმეში.

ტაილანდმა მოქალაქეობის რეგისტრაციისა და სამოქალაქო კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი რეფორმები განახორციელა და ამ კუთხით პროგრესული ეროვნული სტრატეგია მიიღო. შედეგად, ჩანგ რაის პროვინციის მაე ფალონგის რაიონში, სადაც არტი და მისი მეგობრები სწავლობენ, თამაშობენ და იზრდებიან, ამან იმედის ნაპერწკალი გააღვივა. მაე ფალონგის რაიონული ადმინისტაცია ზრუნავს არტისნაირი ბავშვების მოქალაქეობისა და დოკუმენტაციასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრაზე და უკვე შესაბამისი პროცედურებიც შემოიღო. რაიონის რწმუნებულს კარგად აქვს გააზრებული, რამდენად მნიშვნელოვანია ბავშვებისთვის ტაილანდის მოქალაქეობის დამადასტურებელი მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტი. „დიდი თანაგრძნობით ვარ განმსჭვალული მათ მიმართ, ვისაც მოქალაქეობა არა აქვს," – ამბობს რწმუნებული. „ვერაფერი გადაწონის ამ ბავშვების უფლებას, იყვნენ ტაილანდის მოქალაქეები."

პოზიტიური ინიციატივები სხვაგანაც ინერგება: კოტ-დ'ივუარმა მოქალაქეობის მისაღებად დააწესა მარტივი პროცედურები, რომლის მიხედვითაც სურვილის დეკლარირება და ქვეყანასთან ხანგრძლივი კავშირის დასაბუთება უკვე საკმარისია; საქართველოში განხორციელებული რეფორმის შედეგად სახელმწიფო ახლა უკვე აღიარებს მოქალაქეობის არმქონე პირების სტატუსს და მათ მოქალაქეობის მისაღებად მკაფიოდ განსაზღვრულ პროცედურებს სთავაზობს; მალაიზიაში მთავრობამ დაიწყო კამპანია, რომელიც მოქალაქეობაზე წვდომის გამარტივებას ითვალისწინებს და, სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივით, იღებს განაცხადებს პირადობის მოწმობების გასაცემად; სახელმწიფომ მოქალაქეობის მისანიჭებლად სტატუსის არმქონე დომინკელებისათვისაც გადადგა არაერთი ნაბიჯი; იტალია კი ახლოს არის მოქალაქეობის არქონის შემცირების 1961 წლის კონვენციასთან შესაერთებლად, რომელიც ბავშვებში ამ პრობლემის აღმოფხვრის მნიშვნელოვან გარანტიებს მოიცავს.

©unhcr / M. REDONDO

მეც აქ ვარ, მე მივეკუთვნები

ბავშვებსა და ახალგაზრდებთან კოსულტაციების შედეგად გამოიკვეთა ერთი, ყველაზე მკაფიო გზავნილი, რომ ისინი არსებობენ და სურთ, რომ იყვნენ აღიარებული. „მეც ხომ ადამიანი ვარ?!"; „ხომ ხედავთ თქვენი თვალით, რომ მე ვარსებობ?!"; „მე ამ საზოგადოების ნაწილი ვარ!"; „ჩვენ ყველანი დედამიწის შვილები ვართ!". ამ და მსგავს გზავნილებს ყველაზე ხშირად გამოარჩევთ მათ ნაამბობში. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა, სადაც დაიბადნენ და ცხოვრობენ, მათ მოქალაქეებად არ აღიარებს, თითქმის ყველა გამოკითხული ბავშვი და ახალგაზრდა მის მიმართ დიდ ლოიალობას გამოხატავს. „მე თავს დომინიკელად მივიჩნევ... მიუხედავად დოკუმენტებისა," – ამბობს პალომა დომინიკის რესპუბლიკიდან.

არცერთ გამოკითხულს არ უთქვამს, რომ მოქალაქეობის გარეშე ცხოვრება ურჩევნია და ამ პრობლემამ ხელი არ შეუშალა საკუთარ თემთან დაემყარებინა კავშირი, მის საქმიანობაში მონაწილეობა მიეღო და განვითარებაში წვლილი შეეტანა. „ეს მსოფლიოში ყველაზე კარგი ქვეყანაა," – ამბობს 23 წლის ხულიო დომინიკიდან, „მაგრამ ყველა ქვეყანაშია რაღაც ხარვეზები, რასაც

ზაინაბი და მისი პატარა ბიჭუნა, სირიელი ლტოლვილები იორდანიაში

©unhcr / C. Herwig

გამოსწორდება სჭირდება, ამისთვის კი პირადობის მოწმობაა საჭირო.“

საერთაშორისო სამართლით მოქალაქეობის უფლება ყველა ბავშვს აქვს. ეს მკაფიოდ არის გადმოცემული გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციის მე–7 მუხლში, რომელსაც თითქმის ყველა სახელმწიფო აღიარებს: „ბავშვი დაბადებისთანავე დაუყოვნებლივ უნდა დარეგისტრირდეს და დაბადებიდანვე უნდა ჰქონდეს საკუთარი სახელის უფლება, მოქალაქეობის უფლება და, შეძლებისდაგვარად, საკუთარი მშობლების ცოდნისა და მათი მხრიდან მზრუნველობის უფლება.“

ეს უფლება ასახულია მრავალ სხვა საერთაშორისო და რეგიონალურ ნორმატიულ აქტში. ადამიანის უფლებათა ორგანიზაციები და გაეროს სტრუქტურები ხაზს უსვამენ, რომ ბავშვის ინტერესების დაცვა აუცილებლად მოითხოვს მოქალაქეობის გარეშე დარჩენისგან დაცვას.

ყველა ასეთ სიტუაციაში პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზაა ბავშვისთვის იმ ქვეყნის მოქალაქეობის მინიჭება, რომელშიც ისინი დაიბადნენ და იზრდებიან. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ეს მოხდეს რაც შეიძლება მალე, რათა ბავშვი არ იზრდებოდეს მოქალაქეობის არქონასთან დაკავშირებულ სიდუხჭირეში. ამ პრობლემის სასწრაფოდ გადაჭრა არა მარტო ბავშვის, არამედ სახელმწიფოს ინტერესებშიცაა. ამავე დროს, მოქალაქეობის არმქონე ბავშვებს სტატუსის მიღებამდე არ უნდა შეეზღუდოთ ფუნდამენტური, მათ შორის, განათლებისა და სამედიცინო მომსახურების უფლებები, რაც წვლილს შეიტანს სოციალურ ინტეგრაციაში.

როგორც კი ბავშვების იურიდიული სტატუსის საკითხი გადაწყდება, მათ შეეძლებათ საკუთარი ოცნებების ხორცშესხმასა და საზოგადოებრივ ასპარეზზე საკუთარი წვლილის შეტანაზე იზრუნონ: „ახლა მე უკვე მაქვს „ცელუდა“ (ადგილობრივი პირადობის მოწმობა), მაქვს იმის დამადასტურებელი საბუთი, რომ დომინიკელი ვარ და შემიძლია იმ ყველაფრის გაკეთება, რასაც სხვა ჩემი თანამემამულეები აკეთებენ,“ – აცხადებს 18 წლის ვილდიანა.

ბავშვებში მოქალაქეობის არქონის პრობლემის პრევენცია და გადაჭრა ერთ–ერთი მთავარი მიზანია UNHCR–ის მრავალი კამპანიისა, რომელთა შორის არის კამპანია „მე მივეკუთვნები“ და „მოქალაქეობის არქონის აღმოფხვრა 10 წელიწადში“. ამის მისაღწევად UNHCR–ი მოქალაქეობის არქონის აღმოფხვრის გლობალური სამოქმედო გეგმის მე–2, მე–3, მე–4 და მე–7 პუნქტების შესაბამისად მოუწოდებს ყველა ქვეყანას გადადგას შემდეგი ნაბიჯები:

- მიანიჭოს ყველა ბავშვს იმ ქვეყნის მოქალაქეობა, რომელ–შიც ისინი დაიბადნენ, თუ სხვა შემთხვევაში ისინი მოქალაქეობის გარეშე რჩებიან. განახორციელოს კანონმდებლობის რეფორმირება ისე, რომ დედებს შვილებისთვის საკუთარი მოქალაქეობის გადაცემის ისეთივე უფლება ჰქონდეთ, როგორიც მამებს აქვთ.
- აღმოფხვრას ისეთი კანონები და პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც ბავშვს შეიძლება უარი ეთქვას მოქალაქეობაზე ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ნიშნით.
- უზრუნველყოს დაბადების უნივერსალური რეგისტრაცია მოქალაქეობის არქონის პრევენციის მიზნით.

სირიის კონფლიქტის გამო, რომელიც დღესდღეობით მსოფლიოს უდიდეს ჰუმანიტარულ კრიზისს წარმოადგენს, ოთხ მილიონზე მეტი ლტოლვილი მეზობელ ქვეყნებში გაიხიზნა. ასეთი მასშტაბის გადაადგილება აჩენს ბავშვების მოქალაქეობის გარეშე დარჩენის რისკს. სირიის კანონმდებლობაში არსებული გენდერული დისკრიმინაციიდან გამომდინარე, სირიელი ბავშვებისთვის მოქალაქეობის მიღება მხოლოდ მამის ხაზით არის შესაძლებელი. მაგრამ კონფლიქტის შედეგად სირიელი ლტოლვილი ბავშვების 25 პროცენტი, რომელსაც მოქალაქეობის დადასტურება შეეძლო, მამის გარეშე დარჩა. არადა, დაბადების მოწმობა, რომელშიც სირიელი მამაა მითითებული, ბევრ შემთხვევაში ბავშვის მოქალაქეობის დადასტურების ერთადერთი საშუალებაა. როგორც ერთმა სირიელმა ლტოლვილმა მამამ აღნიშნა: „თუ მათ დაბადების მოწმობა არა აქვთ, ეს ნიშნავს, რომ ისინი არც არსებობენ.“

21 წლის ფეხმძიმე რიმი 2014 წელს იძულებული გახდა სირიიდან გაქცეულიყო, რადგან დაბომბვისას ქმარი დაეღუპა და სახლი დაენგრა. იორდანიაში ჩასვლისთანავე, ზაატარის ლტოლვილთა მთავარი ბანაკის საავადმყოფოში მას ბიჭი, სახელად ადნანი შეეძინა. რიმმა იცოდა, რომ ქმრისა და ქორწინების მოწმობის გარეშე ბავშვის დარეგისტრირება ძნელი იქნებოდა. ქორწინების მოწმობა, რაც რეგიონის ყველა ქვეყანაში დაბადების რეგისტრაციისთვის აუცილებელი იურიდიული დოკუმენტია, წყვილმა სირიაში ვერ მიიღო. ბევრი სირიელი ლტოლვილი ერთ მშვენიერ დღეს სამშობლოში დაბრუნებასა და ბავშვების მშვიდობიანად გაზრდაზე ოცნებობს. სამი შვილის მამა, 33 წლის მუჰამადი თავის გულისწუხილზე საუბრობს: „ერთ დღეს ყველანი სირიაში დავბრუნდებით. მაგრამ, როგორ?! მე ხომ არანაირი საბუთი არა გამაჩნია იმის დასამტკიცებლად, რომ ჩემი ბავშვები სირიელები არიან.“

საბედნიეროდ, იორდანიის მთავრობამ ქორწინების დადასტურების, რეგისტრაციისა და ყოველი ახალშობილისათვის დაბადების მოწმობის მიღების უზრუნველსაყოფად ზაატარის ლტოლვილთა ბანაკში ე.წ. ინდივიდუალური სტატუსის სასამართლო (შარიათის სასამართლო) და სამოქალაქო სტატუსის დეპარტამენტი შექმნა. ამ საბუთებს საიდენტიფიკაციო დოკუმენტის სტატუსი აქვს და სირიასთან ბავშვის კავშირს ადასტურებს. „მიუხედავად გარემოებებისა, თუ ბავშვი იორდანიის ტერიტორაზე დაიბადა, მისი რეგისტრაცია ჩვენი პასუხისმგებლობაა,“ – აცხადებს სამოქალაქო სტატუსის დეპარტამენტის უფროსი. ორ წელიწადში ზაატარის ბანაკში 3 597 ბავშვის დაბადება დარეგისტრირდა.

მოქალაქეობის არმქონე ბავშვები და ახალგაზრდები განსაკუთრებულ მოპყრობას არ ითხოვენ, მათ მხოლოდ თანასწორი მოპყრობა სურთ – იგივე შესაძლებლობები, რაც სხვა ბავშვებს აქვთ. ჩვენი მოვალეობაა, მათ ამის შანსი მივცეთ.

„მინდა ნორმალურად ვიცხოვრო, ისე, როგორც ჩემი მეგობრები და სხვები ცხოვრობენ“

22 წლის კავიტა,
მალაიზიიდან

UNHCR
The UN Refugee Agency

ინფორმაციისთვის, როგორ შეგიძლიათ დაეხმაროთ კამპანიას „მე მივეკუთვნები“, ეწვიეთ ამ საიტს:
www.unhcr.org/ibelong
unhcr.org/ibelong

ფოტო ყდაზე: 18 წლის ჩაა მალაიზიიდან
©UNHCR / R. Arnold

პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით, ამ მოხსენებაში ზოგიერთი პირის სახელი შეცვლილია.

UNHCR-ი მადლობას უხდის იმ ბავშვებს, ახალგაზრდებს, მშობლებსა და მეურვეებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს გამოკითხვაში და რაც საფუძვლად დაედო ამ მოხსენებას.

გამოკითხულთა მონათხრობებმა, თუ რას ნიშნავს ბავშვისთვის მოქალაქეობის გარეშე ცხოვრება, უაღრესად ააღელვა კვლევითი ჯგუფის ყველა წევრი.

UNHCR-ი აგრძელებს მუშაობას მოქალაქეობის არქონის პრობლემის პრევენციასა და აღმოფხვრაზე და მიესალმება ყველა ღირებულ მოსაზრებას.

UNHCR
The UN Refugee Agency

მომზადებულია:

UNHCR-ის
საერთაშორისო
სამართლებრივი
დაცვის დეპარტამენტის
მიერ

2015 წლის ნოემბერი

designed and printed by unhcr